პაატა ჩხეიძე

ვიძენთ თუ ვკარგავთ?

(ფიქრები გიგი თევზაძის „ფსევდო-ბოდრიარზე“)

პატარა წიგნების თარგმნა ისეთივე დიდმნიშვნელოვან მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ეპოსისა ან დიდტანიანი ნაშრომისა, თუ ეს პატარა წიგნი შედევრია ან ორიგინალური აზროვნებით გამოირჩევა და ასევე ორიგინალური განმარტებანი თუ გამოხმაურება ახლავს.

ასეთია პროფესორ გიგი თევზაძის მიერ თარგმნილი, ჟან ბოდრიარის „სიმულაკრები და სიმულაციები“ და მისივე მცირე ესეი „ფსევდო-ბოდრიარი მეხუთე რიგის სიმულაკრი“.

პოსტმოდერნულ ეპოქა მოდელებსა და რუკებს უფრო უჯერებს, ვიდრე ბუნებას და ამით ვკარგავთ რუკამდე არსებულ რეალურ სამყაროსო, წუხდა ბოდრიარი. რეალობამ თვითონ დაიწყო მოდელის მიბაძვა და, ბოდრიარის მიხედვით, პოსტმოდერნული სიმულაკრა მიბაძვა და გამეორება კი აღარაა, არამედ ჩანაცვლებაა რეალურისა რეალურის მიერ. ბოდრიარი იმას კი არ მიგვითითებდა პოსტმოდერნული კულტურა ხელოვნურიაო – ხელოვნურობა ხომ გარკვეულად მოიცავს რეალობას – არამედ გვეუბნებოდა, ბუნებრივსა და ხელოვნურს შორის განსხვავების აღქმა დაგეკარგათო.

* * *

გიგი თევზაძემ მეხუთე რიგის სიმულაკრი დაუმატა ბოდრიარის სიას – Facebook!

მეხუთე რიგის სიმულაკრი სიახლეა, უფრო გაბედულად თუ ვიტყვი, აღმოჩენაა. აღმოჩენაა და თავის ადგილს დაიმკვიდრებს. ფილოლოგიასა და ფილოსოფიაში აღმოჩენა ძნელია, ძალზე ძნელიც, მაგრამ შესაძლებელია.

არაფერია მეხუთე რიგის სიმულაკრზე უფრო არსებული. ყველა სხვა არსებული მისგან გამომდინარეობს, მათ შორის რეალურიც.

ხომ არ მიუთითებს ეს არსებულის სიცარიელეზე, თანამედროვე სამყაროსა და ყოფის სიცარიელეზე?

ჩემთვის მიუთითებს, ავტორისათვის კი – არამც და არამც!

ამ კატეგორიული განცხადების გასამაგრებელი არგუმენტი ის

გახლავთ, რომ თუკი მეხუთე რიგის სიმულაკრი არსებობას სიღრმე-ზედაპირის განზომილებისაგან ათავისუფლებს, შეკითხვის დასმა უაზრო ხდება. სწორედ ამის გამო ჩნდება სიცარიელის განცდა, როცა სიმულაკრი რეალურზე უფრო რეალურია, მაგრამ სიღრმე-ზედაპირი არ გააჩნია და სხვა ყველაფერსაც ათავისუფლებს, მაშინ გათავისუფლებულ სიცარიელეში ვხვდებით და ჩვენი რეალობაც ხომ სიცარიელედ იქცევა? თუმცა ამ შეკითხვაშივეა პასუხი და შეკითხვის დასმასაც აზრი ეკარგება. ესეც პოსტმოდერნის პარადოქსია.

ფეისბუკის სივრცე მემარცხენეების საყვარელი ადგილიაო, ამბობს ფსევდო-ბოდრიარი. მე ვიტყოდი ლიბერალების საყვარელი ადგილია. კონსერვატორს იქ არაფერი ესაქმება, ჩემი აზრით. მე ვცადე ფეისბუკში ფეხის მოკიდება და ვერ გავძელი, უკან გამოვედი, მაგრამ თავი ვერ დავაღწიე; იქ არა ვარ, მაგრამ ყველა საიტი იქით მექაჩება და ჩემი პროფილიც ჯიუტად მიცდის, როგორც ავტორი ამბობს – ელექტრონული სიჯიუტით.

ამის მერე აღარაფერიაო, ამბობს ფსევდო-ბოდრიარი; მეექვსე რიგის სიმულაკრი აღარ იქნებაო.

– ეგებ გაჩნდეს!

მომავალი ახალ პროგრესულ ახირებულობებს შემოგვთავაზებს.

ეგებ ისეც მოხდეს, რომ ფეისბუკი კონსერვატორების საყვარელი ადგილი გახდეს, ხოლო მემარცხენეები და ლიბერალები აუჯანყდნენ, როგორც დრომოჭმულს.

გლობალიზაცია მემარცხენეობის წიაღში დაიბადა და დღეს მემარცხენეები ყველაზე აქტიური ანტიგლობალისტები არიან, დაფინანსებულ კონკურენტს ებრძვიან.

და უთუოდ უნდა ჩავფიქრდეთ, ფეისბუკი შენაძენია თუ დაკარგული?

* * *

ჰო, რეცენზიას რომ მეტი პოსტმოდერნულობა შევმატო, გამორჩეული ამერიკელი სწავლულის, ვერჯილ ნემოიანუს შეფასებას დავურთავ:

„ბრწყინვალე წერილია, ძალზე დახვეწილი და, სხვათა შორის დიდებულად თარგმნილი. დარწმუნებული არა ვარ, რომ ყველაფერს ვეთანხმები, რაც იქ წერია; ხომ იცი ბევრი რამ არის ამ ახალ მსოფლიოში (ვირტუალობების ჩათვლით), რაც მე საშიშად თუ შემაშფოთებლად წარმომიდგება. საშიშად „ადამიანობისათვის“? ალბათ. მაგრამ ეს ალბათ ჩემი სუბიექტური ამოძახილი.

შენი მეგობარი ფილოსოფოსი შთამბეჭდავი, ორიგინალური და ღრმაა“ (12.02.13).